



3371-15-5-2-202104120931



N 15-5/3371

12/04/2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს  
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

**სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება**

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებული [REDACTED] ადვოკატის, [REDACTED] განცხადება, ამავე საქმეზე პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოს განაჩენები და სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი. მოცემულ ეტაპზე, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე პროკურორმა ფაქტობრივად პირდაპირი წესით დაკითხა ორი მსჯავრდებული, რასაც კანონი არ ითვალისწინებდა. პროკურორმა მათგან მიიღო ინფორმაცია ამავე საქმეზე თანამსჯავრდებული ორი სხვა პირის შესახებ. მათი ჯვარედინი დაკითხვის უფლება კი არ მიეცა იმ ორ მსჯავრდებულს, რომლის შესახებაც მსჯავრდებულებმა ისაუბრეს. აღნიშნული ინფორმაცია აისახა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად მიღებულ განაჩენში და მიეთითა ზემოხსენებული 2 მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში.

ამ წესით მიღებული ინფორმაციის გამოყენება შესაძლოა არღვევდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ეწინააღმდეგებოდეს პროცესის სამართლიანობის ძირითად პრინციპებს.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია როგორც უშუალოდ მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის, ისე - სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისთვის. შესაბამისად, ვიყენებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ [REDACTED] და [REDACTED] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე.

მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ სასამართლოს დახმარება, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული

კონვენციის (შემდგომში: კონვენციის) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

### ფაქტობრივი გარემოებები

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 18 დეკემბრის განაჩენით [REDACTED] და [REDACTED] დამნაშავედ ცნო სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, [REDACTED] და [REDACTED] დამატებით - იმავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. განაჩენის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხულმა ბრალდებულებმა: [REDACTED] წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნეს, ითხოვეს გამართლება და განმარტეს, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ. სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხულმა ბრალდებულმა [REDACTED] აღიარებითი და სხვა ბრალდებულების მამხილებელი/საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. მასსა და პროკურატურას შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, სასამართლომ სასჯელი პირობითად ჩაუთვალა. დანარჩენ 4 მსჯავრდებულს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა (5 წლის და 3 თვის ვადით) განესაზღვრა.

2020 წლის 15 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დისტანციურად გამართულ სასამართლო სხდომაზე, განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და გამოტანილი განაჩენით დაამტკიცა მსჯავრდებულებთან - [REDACTED] და [REDACTED] - პროკურატურის მიერ გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, რომლითაც მსჯავრდებულებს შეუმცირდათ სასჯელი და უკვე მოხდილი ვადის გათვალისწინებით [REDACTED] გათავისუფლების ვადა იმავე დღეს დაემთხვა, ხოლო [REDACTED] - განაჩენის გამოტანიდან 2 თვის შემდეგ<sup>1</sup>. შედეგად, მათი საქმის განხილვა დასრულდა, ხოლო [REDACTED] და [REDACTED] მიმართ საქმე განხილველად გადაეცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

[REDACTED] და [REDACTED] საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე პროკურორმა წარმოადგინა შუამდგომლობები. პროკურორის თქმით, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ბრალის აღიარებაზე, სასჯელზე, ასევე მიმდინარე საქმეში დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებსა და დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების მონაწილეობის შესახებ თანამშრომლობაზე. სასამართლომ მსჯავრდებულებს დაუსვა კანონით გათვალისწინებული შეკითხვები და გარკვევა კანონით განსაზღვრული საკითხები, მათ შორის, ცნობს თუ არა თითოეული მათგანი თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნულის შემდეგ, კანონით დადგენილი წესისგან განსხვავებით, პროკურორმა ჯერ მსჯავრდებულ [REDACTED], შემდეგ კი - [REDACTED] დაუსვა რამდენიმე შეკითხვა იმის

<sup>1</sup> [REDACTED] განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 4 თვის ვადით, რისი ათვლაც დაიწყო 2018 წლის 18 დეკემბრიდან და სასჯელის ვადაში ჩაითვალა დაკავებაში ყოფნის დრო - 2013 წლის 9 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების ვადა დაემთხვა განაჩენის გამოტანის დღეს (2020 წლის 15 აპრილი). [REDACTED] განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წ და 6 თვის ვადით, რისი ათვლა დაიწყო 2018 წლის 18 დეკემბრიდან და სასჯელის ვადაში ჩაითვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2012 წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების ვადა დადგებოდა განაჩენის გამოტანიდან 2 თვის შემდეგ.

შესახებ, თუ რა დანაშაულს აღიარებდა იგი (ფაქტობრივი გარემოებების აღწერით) და ვისთან ერთად ჩაიდინა დანაშაული. ამ პროცესში მსჯავრდებულებმა ფაქტობრივად ჩვენება მისცეს, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით მათი გაჟღერებული ინფორმაცია ჩვენებად ვერ შეფასდება, რადგან ისინი მოწმის სახით არ დაკითხულან, ფიცი არ დაუდიათ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ არ გაფრთხილებულან. პასუხის დროს მსჯავრდებულებმა აღიარეს არა მხოლოდ საკუთარი დანაშაული, ასევე, დანაშაულის ჩამდენ პირებად მიუთითეს სხვებიც, მათ შორის, მსჯავრდებულები [REDACTED] და [REDACTED].

საგულისხმოა, რომ არც მსჯავრდებულებს - [REDACTED] და [REDACTED] - და არც მათ ადვოკატებს აღნიშნულ პროცესში კითხვის დასმის შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 1 თებერვლის განაჩენით, [REDACTED] და [REDACTED] მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ [REDACTED] და [REDACTED] ზემოხსენებული განცხადებები, როგორც გამამტყუნებელი მტკიცებულებები განაჩენში პირდაპირ არ დააფიქსირა, თუმცა დადგენილ გარემოებად მიუთითა [REDACTED] და [REDACTED] მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად 2020 წლის 15 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე.

საგულისხმოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის განაჩენში ქმედების სამართლებრივ აღწერაში გადმოცემულია მოქმედები, თუ რაში გამოიხატა [REDACTED] და [REDACTED] ბრალად წარდგენილი ქმედება და ასევე, თანამსრულებლებად მითითებულები არიან [REDACTED] და [REDACTED] („მოქმედებდნენ წინასწარ ურთიერთშეთანხმებით“). განაჩენით დადგენილი იქნა [REDACTED] და [REDACTED] ბრალად წარდგენილი და საპროცესო შეთანხმების შედეგად, მათ მიერ აღიარებული დანაშაულებრივი ქმედებები ანუ საკუთარი დანაშაულის გარდა მოიხსენიებენ 2 სხვა მსჯავრდებლს ([REDACTED] და [REDACTED]), რომლებსაც [REDACTED] და [REDACTED] მიერ გაჟღერებული ინფორმაციის გამოკვლევის და მათი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჰქონიათ.

### **ეროვნული კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების შესახებ**

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე,<sup>2</sup> რომლის საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე<sup>3</sup>. პროკურორის წერილობით შუამდგომლობაში აღინიშნება: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში - თანამშრომლობის ფორმა და შინაარსი.<sup>4</sup>

სასამართლო, საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.<sup>5</sup> ამ პროცესში კანონი არც პროკურორის და არც სხვა პირების მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის კითხვის დასმას არ ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ მოცემულ საქმეში აღნიშნულზე მოსამართლემაც განაცხადა და პროკურორს მიუთითა, რომ მსჯავრდებულმა უკვე აღიარა ბრალი და მოცემულ ეტაპზე მისი დაკითხვა არ უნდა მომხდარიყო. თუმცა, ამავე მოსამართლემ, თავისივე განმარტების მიუხედავად, მაინც მისცა ბრალდების მხარეს კითხვების ბოლომდე დასმის და პასუხების მიღების საშუალება.

### **სამართლებრივი დასაბუთება**

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება.<sup>6</sup> ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.<sup>7</sup> გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.<sup>8</sup> აღნიშნულ პრინციპებს უფრო დეტალურად განიხილავს კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

წინამდებარე საქმე სწორედ აღნიშნული გარანტიების ჭრილში უნდა შეფასდეს:

- *თანასწორობა და შეჯიბრებითობა*

პროცესის განხორციელება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპია.<sup>9</sup> თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.<sup>10</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თანასწორობის პრინციპის რეალური შინაარსი გულისხმობს ორივე მხარისთვის თანაბარი და გონივრული შესაძლებლობების ქონას, ზღუდავს ბრალდების მხარისათვის დაუბალანსებელი პრივილეგიის მინიჭებას და ამ ფორმით საქმის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხელოვნურად გაზრდას; ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნაა მოწინააღმდეგე მხარის წარმოდგენილი

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მტკიცებულებების გამოკვლევის, მათ შესახებ პოზიციის გამოთქმის და მათი სანდოობის თუ ავთენტურობის ექვეყნებში დაყენების შესაძლებლობის ქონა.<sup>11</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება სხვა გარანტიებსაც, მათ შორის, დაცვის უფლებას, მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის უფლებას.<sup>12</sup> დაცვის უფლების გარანტიებით კონსტიტუცია მიზნად ისახავს პირის მსჯავრდების პრევენციას უსამართლო სამართალწარმოების შედეგად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით და ბრალდების პოზიციას დაუპირისპიროს კონტრარგუმენტები; დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილების უფლებასაც.<sup>13</sup>

• *მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება*

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიაზრებს კონფრონტაციის უფლებას: დაცვის მხარეს პროცესის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიკვლიოს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმეები; დაცვის მხარეს შეუძლია საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს წინაშე მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლებით სარგებლობის გზით მოახდინოს ჩვენების სრულყოფილი გამოკვლევა, წარადგინოს საკუთარი პოზიცია და იდავოს მის სისწორესა და სანდოობაზე.<sup>14</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ნაწილი - დაცვის უფლების განხორციელება მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს მოწმის განცხადების/ინფორმაციის ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს.<sup>15</sup> კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გარანტირებულია ბრალდებულის უფლება, დაკითხოს მოწმეები, რომლებიც აძლევენ ჩვენებას მის წინააღმდეგ. მტკიცებულება გამოკვლეული უნდა იყოს სასამართლოში საჯარო სხდომაზე, ბრალდებულის თანდასწრებით, შეჯიბრებით პროცესზე, რომ ბრალდებულს მისი გაპროტესტების/შედავების შესაძლებლობა ჰქონდეს.<sup>16</sup> გამონაკლის ვითარებაშიც კი, ბრალდებულს უნდა მიეცეს იმ მოწმესთან დაპირისპირების ან დაკითხვის სათანადო და

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები: როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-18.

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42-43.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები: როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-84.

<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Bricmont v. Belgium*, N10857/84, 1989, §81.

<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *S.N. v. Sweden* N34209/96, 2002, §44; *Vanfuli v. Russia*, N24885/05, 2011, §106; *Hümmer v. Germany*, N26171/07, 2012, §38.

ადეკვატური შესაძლებლობა, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას სასამართლოს წინაშე გამოსვლის ან სამართალწარმოების მოგვიანებით ეტაპზე.<sup>17</sup>

სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის სისტემაში ტერმინს - „მოწმეს“ ავტონომიური<sup>18</sup>, ეროვნული სამართლის კვალიფიკაციისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და მოიაზრებს ნებისმიერი პირის ჩვენებას, რომელიც მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს მსჯავრდების საფუძველს. მოწმეები მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის მოიცავს თანაბრალდებულებს<sup>19</sup>, რომელთა განცხადებები ბრალდებულის წინააღმდეგ წარედგინება სასამართლოს საქმის გადაწყვეტისას.

მოწმისგან მოპოვებული ჩვენებები ისეთ პირობებში, როდესაც კონვენციის მოთხოვნის შესაბამისი ხარისხით დაცვის უფლებები ვერ იქნა გარანტირებული, უალრესი სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს.<sup>20</sup> სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეებში, სადაც: ბრალდებულს არ ჰქონია შესაძლებლობა სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე დაეკითხა მოწმეები, რომელთა ჩვენების საფუძველზე სასამართლომ მძიმე დანაშაულის ჩამდენად ცნო.<sup>21</sup> ასევე, ისეთ საქმეში, როცა სასამართლო სხდომაზე მოხდა ერთ-ერთი თანაგანსასჯელის მიერ პოლიციისათვის მიცემული ჩვენებების წაკითხვა, რომელიც სხვა განსასჯელებს ეხებოდა და რომლებსაც არც სასამართლო პროცესზე ან მანამდე მისი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა არ მიეცათ.<sup>22</sup>

შესაბამისად, აშკარაა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ცალსახად გულისხმობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებას, ჯვარედინი წესით შეძლოს იმ მოწმის (თუნდაც მასთან ერთად იმავე ქმედებისთვის ბრალდებული/მსჯავრდებული პირის) ჩვენების შემოწმება, რომელიც მის წინააღმდეგ იძლევა ინფორმაციას. თუ აღნიშნული გარანტია არ არის დაცული, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო აღნიშნული წესით მიღებულ ინფორმაციას არ უნდა დაეყრდნოს.

- მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის გამოტანა

კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველი. უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და

<sup>17</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *Lucà v. Italy*, N33354/96, 2001, §39; *Hümmer v. Germany*, N26171/07, 2012, §38.

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *Asch v. Austria*, N12398/86, 1991, §25; *Vidal v. Belgium* N12351/86, 1992, §33; *Lucà v. Italy*, N33354/96, 2001, §41; *S.N. v. Sweden* N34209/96, 2002, §45; *Kaste and Mathisen v. Norway*, N18885/04, N21166/04, 2006, §53; *Damir Sibgatullin v. Russia*, N1413/05, 2012, §45 (გადაწყვეტილება გადაისინჯა 28.05.2014 წ. მხოლოდ კონვენციის 38-ე მუხლთან მიმართებით).

<sup>19</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *Mild and Virtanen v. Finland*, N39481/98, 40227/98, 2005, §43; *Trofimov v. Russia*, N1111/02, 2008, §37; *Oddone and Pecci v. San Marino*, N26581/17, N31024/17, 2019, §93-95.

<sup>20</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *S.N. v. Sweden*, N34209/96, 2002, §53; *Doorson v. the Netherlands*, N20524/92, 1996, §76.

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Bonev v. Bulgaria*, N60018/00, 2006, §§44-45.

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Kaste v. Norway*, N18885/04, N21166/04, 2006, §50.

ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურების აუცილებლობას. ამასთან, მტკიცებულების უტყუარობას განაპირობებს მისი შემოწმების შესაძლებლობა, ხოლო მოწმის გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების სანდოობის მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტიაა.<sup>23</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შეჯიბრებითობის პრინციპის კიდევ ერთ მოთხოვნაზე, რომ პირის მსჯავრდება არ მოხდეს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლის გამოკვლევის შესაძლებლობაც მას პროცესის განმავლობაში ერთხელაც კი არ ჰქონია.<sup>24</sup> ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ ბრალდებული დაუპირისპირდეს მოწმეს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის თანდასწრებით, რათა უშუალოდ მოუსმინოს, დააკვირდეს მოწმის ქცევას და ჩამოაყალიბოს მოსაზრება მის სანდოობაზე.<sup>25</sup>

- პროცესის სამართლიანობა პრივილეგირებული მოწმის ჩვენების გამოყენებისას

სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს: მიეცა თუ არა ბრალდებულს მტკიცებულების ავთენტურობაზე დავისა და მისი გამოყენების გაპროტესტების შესაძლებლობა, მტკიცებულების მოპოვების გარემოებებზე დავის შესაძლებლობა და აყენებდა თუ არა ეჭვქვეშ მტკიცებულების ნამდვილობასა და სარწმუნოებას მისი მოპოვების გარემოებები;<sup>26</sup> იყო თუ არა სადავო მტკიცებულება გადაწყვეტი ან ერთადერთი სისხლის სამართალწარმოების შედეგისთვის და საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობას.<sup>27</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით<sup>28</sup>, მოწმის მიერ ხელშეუხებლობის ან სხვა უპირატესობებით სარგებლობის სანაცვლოდ მიცემული ჩვენებების გამოყენებამ შეიძლება ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა დააყენოს ეჭვქვეშ, რადგან ასეთი მტკიცებულებების ხასიათიდან გამომდინარე ადვილად შესაძლებელია ჩვენებებით მანიპულირება და პირმა ჩვენება შეიძლება მისცეს სანაცვლოდ შეთავაზებული უპირატესობებით სარგებლობის მიზნით ან პირადი შურისძიების გამო. ასეთი ჩვენებების გამოყენება თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი სამართალწარმოების პროცესის უსამართლოდ მიჩნევისთვის და დამოკიდებულია ყოველი საქმის გარემოებებზე.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები: როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-82.

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე P.K. v. Finland, N37442/97, 2002, Matytsina v. Russia, N58428/10, 2014, §153.

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე Bykov v. Russia, N4378/02, 2009, §90; Jalloh v. Germany, N54810/00, 2006, §96; Gäfgen v. Germany, N22978/05, 2010, §164.

<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე Al-Khawaja and Tahery v. the UK, N26766/05, N22228/06, 2011, §119, 126-147; Schatschaschwili v. Germany, N9154/10, 2015, §106-107.

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე Cornelis v. the Netherlands, N994/03, 2004, Lorse v. the Netherlands, N44484/98, 2004, Verhoek v. the Netherlands, N54445/00, 2004.

საქმეზე: „*Cornelis v. the Netherlands*“<sup>29</sup> პროკურატურის მიერ პირთან გაფორმებული შეთანხმების შემდეგ მიღებული ჩვენებები განმცხადებლის საწინააღმდეგო მტკიცებულებად იქნა გამოყენებული, თუმცა განმცხადებელმა და ეროვნულმა სასამართლოებმა იცოდნენ ამ შეთანხმების შესახებ და ისინი ინტენსიურად კითხავდნენ ხსენებულ პირს მისი საიმედოობისა და დამაჯერებლობის შემოწმების მიზნით, ეროვნულმა სასამართლოებმა აჩვენეს, რომ კარგად აცნობიერებდნენ კრიმინალ მოწმეებთან შეთანხმებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, სირთულეებსა და მახეებს, განმცხადებლის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში შეთანხმების ყველა ასპექტი და გარიგება დეტალურად და გულდასმით იყო განხილული, ასევე, ხაზგასმით იყო მითითებული დაცვის მხარის მიერ მრავალჯერ გამოხატულ პროტესტზე და მსჯავრდება მხოლოდ ამ მტკიცებულებას არ ემყარებოდა. სწორედ ამიტომ სასამართლომ დაადგინა, არ შეიძლება ითქვას, რომ მსჯავრდება დაეფუძნა მტკიცებულებას, რომლის მიმართ განმცხადებელს არ შეეძლო მე-6 მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებით სარგებლობა.

საქმეზე „*Adamčo v. Slovakia*“<sup>30</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებების გამო: გადამწყვეტი მომენტი სასამართლოზე იყო, როცა მოწმემ შეცვალა ვერსია და დაიწყო განმცხადებლის ინკრიმინაცია; განცხადება წარმოადგენდა ერთადერთ თუ არა გადამწყვეტ მტკიცებულებას განმცხადებლის წინააღმდეგ; შიდა სასამართლოებმა არ შეისწავლეს უფრო ფართო კონტექსტი, რომელშიც მოწმემ უპირატესობა მიიღო ბრალდების მხარისგან (ბრალდება საბოლოოდ შეწყდა); უპირატესობები მოწმეს მიენიჭა პროკურატურის უფლებამოსილების ფარგლებში და პროკურატურა ერთ იერარქიულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რაც გულისხმობს კოორდინაციის გარკვეულ დონეს; პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება დაიღო სასამართლოს მონაწილეობის/კონტროლის გარეშე; ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი დასაბუთება განმცხადებლის არგუმენტებთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება აყენებდა მოწმის სანდოობას. სასამართლო მიუთითებს, რომ თანამონაწილის ჩვენებებთან დაკავშირებით პრივილეგირებული მოწმის გამოკვლევის ინტენსივობა კავშირშია იმ მტკიცებულების სანაცვლოდ მიღებული უპირატესობის მნიშვნელობასთან.

თანაბრალდებულებთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შედეგად მიღებული განაჩენის სხვა ბრალდებულის წინააღმდეგ გამოყენების საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად კონვენცია არ კრძალავს ფაქტებისა და კანონის პრეზუმფციას სისხლის სამართლის საქმეებში, მაგრამ სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ უზრუნველყონ მათი გონივრულ ფარგლებში მოქცევა, გაითვალისწინონ საკითხის მნიშვნელობა („თუ რა დევს სასწორზე“) და დაცვის უფლებები<sup>31</sup>.

საქმეზე: „*Navalnyy and Ofitserov v. Russia*“<sup>32</sup> სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებელთა სასამართლო პროცესზე სრულყოფილი და სათანადო გამოკვლევის გარეშე დაუშვებელი იყო „X“-

<sup>29</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Cornelis v. the Netherlands*, N994/03, 2004.

<sup>30</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Adamčo v. Slovakia*, N45084/14, 2019, §57-71.

<sup>31</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე *Salabiaku v. France*, N10519/83, 1988, §28; *Radio France and Others v. France*, N53984/00, 2004, §24.

<sup>32</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Navalnyy and Ofitserov v. Russia*, N46632/13, 28671/14, 2016, §105.



ის წინააღმდეგ სამართალწარმოებაში დადგენილი ფაქტების მიღება, მითუმეტეს, „X“-ის საქმეზე ფაქტების დადგენა საპროცესო შეთანხმების შედეგად მოხდა და არა სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე. შესაბამისად, დაუშვებელი იყო სხვა სისხლის სამართალწარმოებაში მათი გადატანა/გამოყენება, თუ მათი, ისევე, როგორც ყველა სხვა მტკიცებულების, დასაშვებობა და სანდოობა არ იქნება შემოწმებული და გამოკვლეული შეჯიბრებითობით პროცესზე ამ საქმეში.

ანალოგიურად, საქმეში „ქადაგიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“<sup>33</sup> სასამართლომ დაადგინდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვა საქმის წარმოების ფარგლებში გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონედ მოხსენიება, თავისთავად არანაირ საზიანო გავლენას არ ახდენს მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოების სამართლიანობაზე<sup>34</sup> და არ მიიჩნია იგი უსამართლოდ, რადგან განმცხადებლების საქმეში დაცული იყო შეჯიბრებითობის პრინციპი: საპროცესო შეთანხმებები დაამტკიცა მხარეთა მონაწილეობით და მას თან ახლდა სათანადო სასამართლო განხილვა. შემოხსენებული ათი პირიდან თითოეულმა სასამართლოს მისცა ჩვენება მომჩივანთა საქმეზე, ხოლო ამ უკანასკნელთ მათი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა ჰქონდათ. მოწმეთა უმრავლესობამ განმეორებით დაადასტურა საკუთარი ჩვენებები და დეტალურად და თანმიმდევრულად განმარტეს საკუთარი როლი იმ დანაშაულებში, რომლებზეც მომჩივნებს ბრალი წაუყენეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებების პრეიუდიციულ ძალაზე განცხადების/მოხსენიების მიუხედავად, მომჩივნის საქმეზე არცერთი ფაქტი არ დადგენილა სასამართლო პროცესზე სრული და სათანადო შემოწმების გარეშე. ამასთან, მომჩივანთა მსჯავრი ეფუძნებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობას, მათ შორის ბანკის სხვა თანამშრომლების ჩვენებებს, რომლებიც არ ყოფილან საპროცესო შეთანხმების მონაწილეები, ასევე, სხვადასხვა ნივთიერ მტკიცებულებას, დოკუმენტებს და მტკიცებულებებს.

საგულისხმოა, რომ როდესაც მოწმის გადაუმოწმებელი მტკიცებულება გამყარებულია ბრალდების სხვა მტკიცებულებით, მისი გადაწყვეტი ხასიათის შეფასება დამოკიდებულია მხარდამჭერი მტკიცებულების ძალაზე<sup>35</sup>. სასამართლო დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობის მიმოხილვას საჭიროდ თვლის იმ საქმეებზეც, სადაც რწმუნდება, რომ ასეთ მტკიცებულებას მნიშვნელოვანი წონა აქვს და რომ მისი დაშვება დაცვის მხარეს დაუცველს დატოვებდა. სასამართლო განხილვის სამართლიანად მისაჩვენებელი აუცილებელი დამაბალანსებელი ფაქტორების ფარგლები დამოკიდებული იქნება დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულების წონაზე.<sup>36</sup>

<sup>33</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ქადაგიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N12391/06, 2020, §155-157, 159-160.

<sup>34</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებებში დადგენილი ფაქტების *res judicata* გავლენის შესაძლებლობის აღიარების მიუხედავად, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, ითვალისწინებდა ამ ფაქტების ნამდვილობის შემოწმების შესაძლებლობას. ასევე, მიუთითა ეროვნულ სასამართლოების შესაძლებლობაზე საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ფაქტები დადგენილად არ მიეჩნიათ. განმცხადებლები საკასაციო საჩივრით არ ასაჩივრებდნენ პროცესის სამართლიანობაზე საპროცესო შეთანხმების სავარაუდო უარყოფით ან სხვა სახის გავლენას, როცა უზენაესი სასამართლოს შეეძლო ამ საკითხის განხილვა.

<sup>35</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Schatschaschwili v. Germany, N9154/10, 2015, §123.

<sup>36</sup> იქვე, §116.

*წინამდებარე საქმის ანალიზი*

შესწავლილი მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში 4 ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს. სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას შეიცვალა 2 მათგანის პოზიცია. პროკურატურამ აღნიშნულ მსჯავრდებულებთან, [REDACTED] და [REDACTED] გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება მოითხოვა. მათ აღიარეს ბრალი, ითანამშრომლეს გამოძიებასთან და, სანაცვლოდ, დანიშნული სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმცირდათ (ერთი მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის დღეს გათავისუფლდა, მეორე - 2 თვის შემდეგ გათავისუფლებოდა).

ამავე სხდომაზე ბრალდების მხარემ მათ დაუსვა შეკითხვები საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არა მხოლოდ საკუთარი ბრალეულობის, არამედ დანარჩენი 2 მსჯავრდებულის შესახებ, რის პასუხად [REDACTED] და [REDACTED] დანაშაულში თანამონაწილეებად [REDACTED] და [REDACTED] დაასახელეს. [REDACTED] და [REDACTED] მათთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. სააპელაციო სასამართლომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში მიუთითა [REDACTED] და [REDACTED] საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით მიღებული განაჩენი, სადაც დადგენილად მიჩნეულია [REDACTED] და [REDACTED] მიერ გაჟღერებული და აღიარებული ხსენებული ინფორმაცია.

კანონის თანახმად, პროკურორი საპროცესო შეთანხმების სხდომაზე ზეპირად წარადგენს არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შუამდგომლობას, ხოლო მოსამართლე არკვევს, აღიარებს თუ არა პირი პროკურორის მიერ წარდგენილ ბრალს. ამ პროცესში კანონი პროკურორის მიერ კითხვების დასმას არ ითვალისწინებს.

წინამდებარე საქმეში პროკურორმა დასვა არაერთი კითხვა და მიიღო მათზე პასუხი, რაც შინაარსობრივად პირდაპირ დაკითხვას წარმოადგენდა. ამ პროცესში, ორმა მსჯავრდებულმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმალურად მოწმის სახით არ დაკითხულან, ფიცი არ დაუდიათ, არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გაფრთხილებულან, ისაუბრა [REDACTED] და [REDACTED] წინააღმდეგ. დამატებით, [REDACTED] და [REDACTED] არ მისცემიათ ამ ინფორმაციის გამოკვლევის შესაძლებლობა ან ჯვარედინი დაკითხვის უფლება.

ამდენად, [REDACTED] და [REDACTED] არ იქნა უზრუნველყოფილი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, მტკიცებულების გამოკვლევის, მისი უტყუარობის და სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ [REDACTED] და [REDACTED] სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჰქონიათ [REDACTED] და [REDACTED] ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა და მათი გაჟღერებული ინფორმაციის გამოკვლევისა და საწინააღმდეგო არგუმენტების მოხმობის შესაძლებლობა.

ამდენად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად გამოტანილი განაჩენის გამოყენება სხვა პირების - თანაბრალდებულების/თანამსჯავრდებულების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის

სამართლის საქმეში გამოყენებისას სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დაუშვას, ყურადღება მიაქციოს რა ღირებულების მქონეა მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია თანაბრალდებულების/თანამსრულებლების მიმართებაში, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების და დაცვის უფლების უზრუნველყოფით: ბრალდებულს უნდა ჰქონდეს თანაბრალდებულის/საპროცესო შეთანხმების გამფორმებელი პირის ჯვარედინი დაკითხვის უფლება და ყველა ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს შეჯიბრებით პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად. საგულისხმოა, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ სამართალწარმოების პროცესში ხსენებული სტანდარტები დაცული არ ყოფილა.

გარდა ამისა, აუცილებელია სასამართლომ გაითვალისწინოს და შეაფასოს საპროცესო შეთანხმების დადების გზით თანამსჯავრდებულების აღიარების გარდა არსებობს თუ არა სხვა ურთიერთშეთანხმებული, აშკარა და პირდაპირი მტკიცებულებები. აქვე აუცილებელია მსჯელობა თანაბრალდებულების ინფორმაციის მნიშვნელობაზე ბრალად წარდგენილი ქმედების კონტექსტში, კერძოდ, მათ ბრალად ედებოდათ წინასწარი შეთანხმებით განზრახი დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, მათ ინფორმაციასთან შეფარდებით უნდა შეფასდეს ბრალდების მხარდამჭერი სხვა მტკიცებულებების ძალა.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ორმა მსჯავრდებულმა, მათ მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე, კანონით გათვალისწინებული პროცედურის მიღმა, პროკურორის კითხვებზე პასუხად ისაუბრა ამავე საქმეზე ორი სხვა მსჯავრდებულის - [REDACTED] და [REDACTED] დამნაშავეობის შესახებ. შედეგად, პროკურორმა ისინი ფაქტობრივად დაკითხა პირდაპირი წესით, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მოწმის სახით არ დაკითხულან, არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გაფრთხილებულან და არც ფიცი დაუდიათ. [REDACTED] და [REDACTED] არ მისცემიათ ამ ინფორმაციის გამოკვლევის შესაძლებლობა ან ჯვარედინი დაკითხვის უფლება, რაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. სააპელაციო სასამართლომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში ხსენებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით მიღებული განაჩენიც მიუთითა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა შეაფასოს აღნიშნული პრაქტიკის კანონიერება განაჩენის გამოტანისას და იმგვარი მიდგომა დაამკვიდროს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია დაეხმარება სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

ბ- 